

კარი ერთოსტელი

კოლხეთი
ფსალმენი

100-ტომეული




გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

კუსა ექისტელი



კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 39

2020



მთ. რედაქტორი

გულნაზ ხუსა

ფილოსოფიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენცერსალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკური №4, თე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-846-5 (39 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის ამონდობა – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფოტო, რომელთაც ორიათასზე გატი კოეფილი მონილება იყო დაგეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიის არეზიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღესასის მედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, შვაიცარიის იმპრის ვარსკვლავისა და მშვიდობის ღრუბის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთ-სამცნეომრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შალგუნების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შალგუნების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიბრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შალგუნების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კონსისტრი ერო-სხად აირჩია აგავე კადემიის 30ცე-კარეზიდენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შალგუნების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროგვესორი ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მღერალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბაბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი მვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვის რომ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, რომ აზანზარებს ჩემად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შალმუნე-ბის“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარვდავ და... დღეს ძვეშის ბასაბონად ხბამაღლა ვაცხადებ: ვა-შა მცირებული არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმის ჰალაში მდგა-რი მუხაა, რომელსაც ოქროს სამზისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარ-ბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპახე, კოეჭმა ოქროს სამზისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შალმუნების“ იგავითვალებრივი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვასის ნაცარიმიყრილი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ მიღროინდებლი სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძვეშის, არც ერთი კალმოსანს არ გაუკითხავა.

100-ტომეული... ძვეშის გაჩენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გვე-ლუშაპი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულახ ხარაიზვილი

კოეჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულიფიად შესვლი ყოველ შებას, ყოველ ძაბებას.“

ა. პუშკინი

შონასიტეპარბის მაბიერ

(გაგრძელება)

პოეტი ქართული ზნეობრივი პრინციპების თავ-
გამოღებული ქომაგია და ეთაყვანება დიდებული მე-
ფის აჩრდილს. მთელი სიმბაფრით ეძალება სურვი-
ლი დიდი ხილვისა, მითუმეტეს მაშინ, როდესაც
გრძნობს მის მაღალ კულტურასა და გმირულ
სულს, როდესაც ხედავს ფართო, დევურ კვალს სა-
წუთროს ზედაპირზე რომ დაუტოვებია. დიდი და
სწორუპოვარი იყო დავით მეფე, რომლის სასახელო
და საარაკო საქმეები დღეს ლეგენდად შემოინახა
თაობებმა:

*

როგორც თქმულება,
როგორც ლეგენდა,
ათასწლეულთა გზაზე მიგორავს –
დავითის მზე და
„ძლევაი“ დიდგორის“.



პატრიოტული და ესთეტიკური განწყობილება
პოეტის სულში პიკს აღწევს, პოეტს ხიბლავს მეფის
მადალი სული, მისი ნათელჭვრება ქვეყნის უაეთხესი
მერმისისა, შეუდრევებელი ხასიათი და უკიდურესი
თავგანწირვა:

*

„ნიკოფისიდან დარუბანდამდე –
დავითმა მტერს რომ უმტკრია ქარი.
მისი სახელი მიტომ ზარავდათ...

მას,

სულ ხელთ ეპყრა მშობლიური მთოვარის ფარი,
ეხურა –
ქართვლის ვარსკვლავების
ჯაჭვ-მუზარადი“.

დავით აღამაშენებელი ერთ-ერთი სწორუპოვარი,
კოლორიტული ფიგურა და ღირსეული წინაპარია.
არ დარჩენილა არც ერთი მწერალი, მეცნიერი, პოეტი
თუ ხელოვანი, რომელსაც ხოტბა არ შეესხას
მისთვის და უტკბილესი პანგებით არ ედიდებინოს
ხალხისათვის თავგანწირული ლომდარი მეფე. ვაჟა
ეგრისელი ერ-ერთი ყავდაზე თავგამოდებული მე-
ხოტბეა ქართველი ერის სათაყვანებელი მეფისა. ის
პოეტის სულის ნაწილია, მისი ემანაცია. მეტიც, გა-



სულიერება ქართველი ინტელიგენციის სულიერი ძალმოსილებისა.

ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე აკაკი ბაქრაძე წერდა: „საქართველოს ისტორიაში არსებობს ასწლიანი პერიოდი, რომელსაც სრულიად სამართლიანად გუწოდებთ „ოქროს ხანას“. ეს პერიოდი დავითის საძირკველია, მისი აშენებულია. ეს ეპოქა არა მარტო ჩვენი წარსულის სინამდვილეა, არამედ ჩვენი მომავლის ოცნება. ამიტომ დავით აღამაშენებელი ჩვენთვის ის ორიენტირია, რითაც საქართველომ უნდა იაროს“.

სულმნათი ივანე ჯავახიშვილი აღფრთოვანებით ბრძანებს: ქართველმა ერმა და ისტორიაში უკვდავყო დიდებული მეფე დავითის, საქართველოს გამაერთიანებლის და აღმაშენებლის, მისი პოლიტიკურისა და ეკონომიკურის ძლიერების შემქმნელის, სოციალურ სამართლიანობისათვის მებრძოლის სათაყვანებელი სახელი. ქართველი ხალხი დავით აღმაშენებელის სამარადისო ხსოვნას თავის გულის სიღრმეში ატარებს და შეჰსარის მას, ვითარცა სრულიად საქართველოს ერთობისა და ძლიერების სიმბოლოს“.

ვკითხულობთ ვაუდა ეგრისელის იმ ლექსებს, რომლებიც დავით აღმაშენებლისადმია მიძღვნილი და თითქოს ცხადად ვხედავთ საუკუნეთა წყვდიადიდან სამშობლოს სიყვარულისა და ზნემაღალი მმართველის სახეს, ქვეყნის წინაშე სასახელოდ ვაღმოხ-



დილი მეფე ქართველმა ერმა წმინდანად რომ შე-
რაცხა.

დავით აღმაშენებლის დროს საქართველოს პო-
ლიტიკური, კულტურულ-ეკონომიკური მდგომარეობა
განვითარების ისეთ დონეს აღწევს, რომ თავისი
დროის მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოები ან-
გარიშს უწევენ და მასთან საერთო ენას ეძებენ და
როგორც ბატონი რევაზ მიშველაძე ბრძანებს: „სა-
ქართველოს საბოლოოდ გაერთიანება ერთხელისუფ-
ლებიანობის და ერთსარწმუნოებრივი მონარქიის
პრინციპებით, თბილისის განთავისუფლება თურქ-
სელჩუკთა ოთხასწლოვანი ბატონობისაგან, რეგულა-
რული არმიის ჩამოყალიბება და მისი განმტკიცება
ოთხმოცი ათასი ყივჩადის ჩამოსახლებით, რუის-ურ-
ბნისის კრება და საერო თუ საეკლესიო მმართვე-
ლობის გრანდიოზული რეფორმები, არა მარტო მე-
ცენატობა ქართული აღორძინებული კულტურისა,
არამედ თავისი კალმითაც („გალობანი სინანულისა-
ნი“) აქტიური მონაწილეობა მიიღო მშობლიური ლი-
ტერატურის განვითარებაში.“

დავით აღმაშენებლმა სიცოცხლის ბოლომდე
უერთგულა საქართველოს და ქართველობას, მან
ხომ უპირველეს ყოვლისა ლეთის რჯული შეასრუ-
ლა, ღმერთის კანონი მოიძია და საუკუნეების უანგი
და მტვერი ჩამოაცილა და ადამიანის მოვალეობის
ერთ, მთლიან მარადიულ სათავეში ხელთ იპყრა



ერის სული, გული და გონება და ღვთის წესისამებრ წარმართა იგი.

დავით მეფე ქართველთა შთაგონების წყაროდ იქცა. მას მიუძღვნეს პოეტური თხზულებები არსენ ბერმა და არსენ იყალთოველმა (XIIIს.) გრიგოლ ორბელიანმა (XIXს.) დიდმა ქართველმა პროზაიკოსმა პ. გამსახურდიამ დავით მეფის ცხოვრება და მოღვაწეობა აღწერა ისტორიულ რომანში „დავით აღმაშენებელი“. პოეტური შთაგონებით დაწერა ანა კალანდაძემ „ფეხი დამადგით, გულზე დამადგით, ფეხი ყოველმან“.

ქართველთა ალექსანდრე მაკედონელი უწოდა დავითის ისტორიკოსმა აღმაშენებელს, ვეფხისებური სიფიცხე, მმართველობის ჟინი და სიბრძნე, განზრახვათა მრავალფეროვნება და სიდრმე აახლოებდა ქართველ მეფეს სახელოვან მხედართმთავართან. „ქრისტეს მცნებათა აღსრულების მიუძღვნა დავითმა საკუთარი ცხოვრება და ღირსეულად ზიდა სულიერი სათნოების სიმძიმე“.

გასაჭირის ქამს ესაჭიროება სწორედ ერსაც და თითოეულ ადამიანსაც შეუპოვარი, თავდადებული გმირი, რომელიც მორალურად და ფიზიკურად აღმართება სიმტკიცის კადლად.

ასეთი გმირი იყო დავით მეფე!..

დღეს როცა საქართველო გაყიდულია, გაიყიდა სამაჩაბლო, აფხაზეთი, შიდა ქართლი და ერი სავა-



ლალო განსაცდელშია, პოეტი გამოხატავს სინა-
ნულს მომხდარის გამო. პოეტი აღშფოთებულია და-
ლატით და თანამემამულეებს შთააგონებს, იარონ
დავით აღმაშენებლის მიერ გაკვალული გზით. საოც-
რად დიდი ოსტატობით გადმოგვცემს პოეტი ქარ-
თველ მამულიშვილთა გულისთქმას:

*

„აი,

ახლა,

გვინდა მეფეებ,

ელვარება შენი შების.

ახლა უნდა კვლავ შეჰყარო,

ერი,

ბერი,

რუის-ურბნისს.

აფხაზეთით გამოჰქროდე

შენი შაგრა ჰუნეთი

და მოხვიდე მეოცეში,

შენი დიდი მეთორმეტე –

ოქროს საუკუნეთი“.

აქ პოეტის სულისა და გონების სიბრძნით აღ-
სავსე, საოცრად გამჭვირვალე, საოცრად კეთილშო-
ბილი, წმინდა გრძნობა და თაყვანისცემაა დავით აღ-
მაშენებლისადმი. ნატრობს და ოცნებობს მეთორმეტე



საუკუნის ოქროს ნათელით გაბრწყინდეს ჩვენი მამული.

*

„იყო დრო, როცა ხაფი „ზახილით“
უგალი გზით და ბილიკებით
მტერს რომ შეფსკვნიდა.
და აწ მოხუცი,
და აწ ხნიერი,
დამით გადმოდის ის გელათის საყდრის
ფრესკიდან
და მიდის დიდგორს,
და ბრძოლის ველს ათვალიერებს“.

სამშობლო ქვეყნის სიყვარული ადმრავს პოეტში
ტკივილის განცდას. ამ ტკივილითა და სიყვარულითა
გაჯერებული ვაჟა ეგრისელის პოეზია. თავისი
პოეტური ნიჭის წყალობით ცდილობს გააღვივოს
ეროვნული გრძნობა და მისი გულიც სულ სხვადას-
ხვაფრად ასხივებს ამ სიყვარულს, რამეთუ პოეტმა
უხილავი ხელშესახები გახადა, მის ყველა ლექსში
სასწაულებრივი მახვილგონიერება შემოგვანათებს:

*

„დღეს საქართველო კიდით-კიდემდე,
მტერთა ოცნებას –
მოპგავს ახდენილს –



ჩამოსწოდია შავი ფერი ცის.

რა ქნას დავითმა!

დიდგორი აქვს გადასახდელი,
აფხაზეთისთვის ჯერაც ვერ იცლის!!!“

ასეთი პოეტური აზრით და მოქალაქეობრივი შეგნებით ნერგავს პოეტი რწმენას მკითხველებში. ვერ დაითრულა ერი, რომლის დიდების კარიბჭეზე ეცემოდა გმირთა თაობა და მოდიოდა ახალი, მოდიოდნენ თავდადებულნი და აღმაშენებელნი, სვიმონნი და სოლომონნი, დიდი მოურავნი და პატარა კახნი, მარიამ ბატონიშვილნი და მაია წერეთელნი, თამარნი და ქეთევანნი. იწვოდნენ, მაგრამ რჩებოდა სამშობლო, რწმენა, შთამომავლობა, ის, რასაც ეწირებოდნენ.

„დავით მეფე სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ დიდბუნებოვან კაცობითაც. იგი თავდადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და მართლმადიდებლის სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა. ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ როდესაც იგი ყოვლად შემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა ქავენის და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანის-მცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელად არა ჰზოგავდა, ამისთანა კაცომოყვარული პატივის-



ცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუ-
თუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მე-
თორმეტე საუკუნის კაცისაგან“.

დავით აღმაშენებლის სიმტკიცე და შეუპოვრობა
— ერის დიდება და დირსებაა. ამ დიდებას პოეტური
ნათლის გვირგვინი დაადგა ვაჟა ეგრისელმა. ვინც
მის ლექსებს წაიკითხავს, მიხვდება, რომ ეს ლექსე-
ბი უანგარო გულითა და მდელვარებითაა შექმნილი.
ამ აზრით დავით აღმაშენებლის სახელი აღწევს
ყველგან, როგორც მარად უქრობი სხივი.

ჩვენი ეპოქა ძიების, თავისუფლებისაკენ ტიტანუ-
რი სწრაფვის ეპოქაა. წარსულის სურათების პოეტუ-
რი გააზრება ვაჟა ეგრისელისათვის უმთავრესი სა-
კითხი გახდავთ.

*

„ჩემი სამშობლოს მაღალ დირქესთან –
ქედები თოვლის სანთლებს
ანთებენ...“

და მე ვმაღლდები, ვით მაცხოვარი.

როცა წკვარამზი ლამენათევი –

ჩემს ღია სარკმელს
მოადგება

დილის ნათელი“.



ამ ფინალურ პწყარებში სამშობლო მიწის
მგზნებარე სიყვარულია, ქართველი ერის მღელვარე
სულია და ნათელი მომავლისადმი დიადი რწმენა.
პოეტი საგსეა სინათლითა და სიცოცხლით. მშობლი-
ური მიწის ზამთარი თუ გაზაფხული, შემოდგომა
თუ ზაფხული, მისი დარი თუ აგდარი აცოცხლებს
პოეტს. ის მართალი და გულწრფელია ყველგან და
ყველაფერში. მისი პოეზია მარადიულობის პასპორ-
ტია. მისი სახელი სიკეთისა და სიწმინდის სიმბო-
ლოა, რომელიც გვასწავლის ამაღლებულის სიყვა-
რულს, სამშობლო ქვეყნისადმი უანგარო ერთგულუ-
ბას და მთელი არსებით გვმოძღვრავს მშობლიურის
დასაცავად. მამაპაპურის მოსაფრთხილებლად...

*

„რომ მიმოყრილან ველ-მინდვრად,
ქართლის ცას მხარი უმშვენონ,
ოქროა,
განა მთებია.

სამშობლოვ!

ჩემო სიცოცხლევ!
ერთი დღე რაა, უშენოდ,
ისიც ნუ გამთენებია“!

ვაჟა ეგრისელის მიმართება დავით აღმაშენებ-
ლისადმი სუფთაა, ამაღლებული და შთამბეჭდავი.



პოეტს ამოძრავებს დიადი მიზანი, მოუხმოს იმ საუკეთესო სურვილებს, ხალხის სულში რომ არის დავანებული.

აკი დავით აღმაშენებლის ცხოვრებამ გაიარა მხოლოს მადალი მიზნების სამსახურში, მისი მოქმედების ნორმები უნაკლო და სანიმუშოა, მისგან მონიშნული კანონებისა და ფორმების წყალობით დაემკვიდრა მისი ერის ცხოვრების ნორმად: „იყო ყოველთაგან საკრძალავ და სარიდო“.

პოეტის მიერ დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილმა ლექსებმა გააძლიერა ძველთაგან წარმოქმნილი თაყვანისცემა დავით მეფისადმი, რომელიც იყო „მესიის მახვილი“, ქავენის განათავისუფლებელი და გამაერთიანებელი, მრავალმხრივი რეფორმატორი და უბრძნესი სჯულმდებელი, უბრწყინვალესი მხედართმთავარი და მამაცესი მეომარი, „მაშქერებელი და მაძგერებელი ცხენთა და აბჯართა“, სამოცი ძლევამოსილი ბრძოლის კავალერი, გონებავრცელი პოლიტიკოსი და შორსმხედველი დიპლომატი. დიდ-სულოვანი შემწყნარებელი მოყვასთა ყოველთა – ყოველთა ერთა და ყოველთა სჯულთა, „მეფე აფხაზთა, რანთა, კახთა და სომქეთა, შირვანშაჳ და შაჳინშაჳ და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვითმყოფლობით მპყრობელი“. კავკასიელ ხალხთა ერთიანი სახელმწიფოს დამაარსებელი, უგანათლებულესი მწიგნობარი, პოეტი და ფილოსოფოსი“.



ეს მეცე დაბადებული ხალხის წინამდოლად, მიუხედავად იმისა, რასაც თავისი სინდისის წიაღში განიცდიდა, იმ ქართველთა ჭეშმარიტი წინამორბედია, ვინც დრმა რწმენასთან და მსოფლიო ჭმუნვასთან ერთად, სარწმუნოებრივ ცალმხრივობაზე ამაღლებულ სულს ატარებდა, — იმ ქართველთა, ვის წრეში და ვისოცისაც შემდეგ დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“, ამ უკვდავ ქმნილებას წინ უსწრებდა დავითის „გალობანი სინანულისანი“.

„საგალობელში უკვდავი პოეტური ფორმით გამოხატულია ზოგადსაკაცობრიო ტკივილები. ეს ტკივილები განცდილია როგორც საკუთარი და ვერება ხსნისათვის არის ვედრება ერთის — ყველას-თვის ყველას ცოდვების თავსმდების“.

ვაჟა ეგრისელი განადიდებს დავით ადმაშენებლის პირვებას, არ დალატობს ისტორიულ სიმართლეს. პოლიტიკური ვნებებით ანთებული პოეტი მთელი რუდუნებით ჭვრეტს მეფის სულიერ სამყაროს და გულმხურვალე აღსარებად ჭდერს მისი მონოლოგი თავისი სითბოთი, ზენობრივი სიწმინდით, მრავალნაირი ინტონაციებით გადაწენული მისი სიტყვა ბრძოლის მომწოდებელ ნაღარასავით გაისმის. ხან წერიალებს, როგორც ხმალზე დაკრული ხმალი. პოეტი თითქოს დიდგორის ბრძოლის ველზეა დავით მეფესთან, ომის შუაცეცხლში გააფორებული „დავითფერულით“ იგერიებს მამულს შემოსეულ მტერს.



ასე მაღლა, მაღლა რეფრენივით მზის სათავისაკენ
ისწრაფვის პოეტის მგზნებარე ხმა და ლექსის ფი-
ნალში იდეურ-ფსიქოლოგიურ მწვერვალს აღწევს:

*

„წყალნი წავლენ და წამოვლენ
და დარჩებიან ქვიშანი.
აღმოსავლეთით მყინვარი –
გიზის ძახილის ნიშანი!
ჩრდილოეთით და სამხრეთით,
მთებით ხარ გამოკეტილი
გადაჭრილი გაქვს ვენები,
სისხლისგან ხარ დაწრეტილი.
ნიკოფსიას და დარუბანდს

ტირიხარ...

მაგრამ ვერ ტირი...
თუმც დავით მეფის აჩრდილი –
თავს გადგას ნათლის სვეტივით“.

პოეტი ესწრაფვის მისი ბუნებისათვის ძვირფასს,
რაც მიესადაგება ცხოვრების ჭეშმარიტებისა და ხე-
ლოვნების სიმართლის ძიებას. დავით აღმაშენებელ-
ში ხიბლაგს პიროვნების კეთილშობილება, შეუდრუ-
პელობა, სიქაელე და ჭეშმარიტებისათვის უკიდურე-
სი თავგანწირვა, მშობლიური ხალხის მაღალი სუ-
ლი, მტრის წინააღმდეგ ამხედრებული მისი ნათელ-
ჟერეტა ქვეყნის უკეთესი მერმისისა. ამიტომაც ვერ



აუტანია საკუთარ მიწაწყლიდან გამოდევნილი ქართველების ბედი და გულისშემძვრელად, მაგრამ კოლხი წინაპრებისადმი დამახასიათებელი სიამაყითა და სითამამით ამბობს:

*

„კოლხო,

ქართულ მიწის მკვიდრო,
ახლა,

უამბა რომ გაგრიყა,
ნეტავი რა იქნებოდა,

როგორც მაშინ, დავითის დროს,
კვლავ დიდგორში მომკვდარიყავ“.

ვაჟა ეგრისელის პოეტური თვალი მოელი არსებდით მისდევს აღმაშენებლის გაკვალულ გზას. მეფეზე ფიქრი პოეტში სასწაულებრივ ძალას ასხივებს და მისთვის უწმინდეს იდეალად იქცა დირსეული წინაპრის მიერ გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯების ისტორიული გააზრება. პოეტმა მეფის სიმაღლეს გაუსწორა თვალი და იშვიათი სისრულით წარმოგვიდგინა აღმაშენებლის ფეხომენი, რომლის პროგრამაში ერის ცხოვრების მიმართულება იყო მოცემული.

ვაჟა ეგრისელი დავით მეფის საგმირო და საპრაკო საქმეებს დასტრიალებს. მისი პიროვნება პოეტისათვის სალოცავი ხატია, რომლისადმი კრძალვა და პატივისცემა მუდამ თავისებური შინაარსით



აღიქმება.აი, ეს დიდებული მეფე – რა დიდებულ კაცურ კაცის სახესაც მოგვივლენს თვალწინ და რა თავმოსაწონებელს საბუთს გვაძლევს ხელთა! აი, ამისთანა კაცის ხსენებაა გამაცოცხლებელი ერისა და ამისთანა კაცის არხსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ერსა, რომელმაც იგი ჰშვა და თავის ძებული გამოზარდა. ჩვენმა დამცველმა ეკლესიამ ეს კარგად იცოდა და ამიტომაც 26 იანვარი დაგვინიშნა, რომ წელიწადში ერთხელ მაინც გავიხსენოთ ეს ქართველისათვის თავმოსაწონებელი დიდებული კაცი.

კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს, – ამბობს ჩვენი ერი – ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დაგით მეფესა. აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა როგორც მეფეს, და იქ როგორც დიდბუნოვანმა კაცმა, წიფოლა სახელი წმინდანისა, დიდების გვირგინით შემკობილი“.

უნათლესი და უბრძნესი მეფის სახე ასე შთამბეჭდავად დაგვიხატა პოეტმა:

*

„ვითარცა ქამს დიდთურქობის,
 პელავ ატყდება
 კიდით-კიდე –
ვარსკვლავების ზარის რეკვა.



მოგა ქარი,

ვით დავითი.

და ლრუბლების უშქარ ურდოს,

ქართლის ციდან გადარეკავს“.

პოეტი ქართველ ხალხში შეურყევლად ამტკიცებს რწმენას, რომ დავით აღმაშენებლის გაკვალულ გზაზე მარადიულად იყაშაშებს მომავალი ცხოვრების უქრობი ჩირაღდანი, რის წყალობითაც თაობები გაივლიან და „ვარსკვლავების ზარების რეკვით“ აუწყებენ ქვეყნიერებას ერის თავისუფლებას და ბეჭდნიერებას.

დიახ, დავით აღამაშენებლის დროს ქვეყანა აღორძინდა. ერი ერთიანად გამოფხიზდდა და როგორც ბატონი ჯანსუდ დვინჯილია წერს: „აქ სხვაა უფრო მნიშვნელოვანი – ერის სულის გამუდმებული წვრთნა, მოწესრიგება, დიდი საქმეებისკენ წარმართვა და წაყვანა მხოლოდ ასეთ შეუვალ კანონებს და ფორმებს ხელეწიფება, რომელსაც დავითი იყენებდა“...

პოეტი ვაჟა ეგრისელი შთამომავლობისათვის ხელმისაწვდომს ხდის დავით აღმაშენებლის პიროვნებას საგულისხმო დეტალებს. საცნაურს ხდის მეფის გონებასა და სიბრძნეს. პოეტური სიბრძნე შორსმჭვრეტელისა და ნათელმხილველის ზღვარს აღწევს და ძალუმად განგვაცდევინებს ეროვნული



ენერგიით დამუხტული „ესე დიდი საქმენი“-ს ძლევა-
მოსილებას:

*

ბევრი არასდროს ვყოფილგართ,
ახლა
დავრჩით სულ ცოტანი.
ჩვენ ვინც ვიყავით?
დახედეთ
ლოდს –
დავით მეფის ბეჭებით,
გმლათის ბჭესთან მოტანილს“.

ცილა მასხია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – სახწაული და ფანტაზია
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში



ქრიან სიშორის ლურჯი ქარები,
იდუმალებით სავსე
ცის ფსკერზე –
შიში და ლოცვა ყრია ლექივით,
და თავშესაფარს წყვდიადში
ეძებს –
მოხუცი მთვარე –
გვერდშეზნექილი.

1971

დგას მთაწმინდა

კავკასიის მთათა შორის

(რა თეთნულდი,

რა მყინვარი,

თუმც გვირგვინი თოვლის ადგათ),

დგას მთაწმინდა -

უკვდავებას გამყივარი,

ვით ეპუთვნის ქვეყნის მთათა,

მთვარსარდალს.

1978



წამით როცა გაიღება,
დაპეტილი –
ხსოვნის კარი,
გამოჩნდება ჩემი ეზო,
ძველი ოდა
და ბუხარი,
და კოლხური დიდი მთვარე –
ამირანის ნამუხლარი.

1962



9 აპრილი, 1989 შეღი

სახეზე ადეგს მკვდრისფერი თბილისს,
შედედებულა მეტეხთან
მტკვარი,
არ დაჟქრის სიო,
და ჩავარდნიათ ენები ზარებს:
ქაშვეთს...
ანჩისხატს...
დიდუბეს...
სიონს.

1989



რომ ვითვლიოთ მძვინვარ

ათასწლეულებს,

მტერს ავიწყდება

ჩვენი ასაკი,

და სურს დაგვჩაგროს,

ქვ,

აფხაზეთი და სამაჩაბლო,

ჩვენთვის ეს არის ხიროსიმა

და ნაგასაკი.

1994



დასავლეთისკენ მიდიან ღრუბლები,
დამეს კი მოუჩანს
მთვარის ხალი
ციდან,
და ომებში უბრწყინავს ელგის სირმა,
კმდელზე გაკრული
ძველი ხალიჩიდან –
მოისმის ბლაგილი ირმის.

1965



საფლავის ლოდებზე აწყვია
ვარდი და იასამანი,
მაგრამ პზის ტოტი
სულ სხვაა,
ტანში ჭინჭარით სუსხვაა,
თოვლში გაჭრილი
სამარე.

1992



კავკასიის მაღალ მთებში,
 რადგან არაგვობ და
 თერგობ,
 რადგან მეფე დავითივით,
 გსურს მონა სპის –
 ლექსებს გზები,
 გასაქცევი ჩაუხერგო, -
 ემზადები სადიდგოროდ,
 რადგან ბედად ასე გერგო.

1988



რაა, ცხოვრება დელვის გარეშე,
დელვას ვუყვარვარ
და ის მაჯერებს,
რომ ზეირთებია ჩემი გვირგვინი,
ათჯერ ვეწვიო,
დღეში ათჯერვე,
ზღვა ჩემთან მორბის, -
მხედვება სირბილით.

1991



მოვლენ,
მაგრამ მოკვდავთა
ყოფნა დედამიწაზე,
თითქოს მათ არ ეხებათ,
სიცოცხლეც და სიკვდილიც
ორივ ფეხზე ჰქიდიათ,
მზის და მთვარის მკრთალ შუქზე მოდიან
და მიდიან,
სადღაც მოუსავლეთში –
წლები ოჩოფეხით...

1984



ნაწვიმარი ცისკრის ტოტი,
ჰყვავის, ვითა იასამნის,
და ნეტავ რამ გაამწარა,
შორს,
რომ მიჰქრის ტყვიასავით,
ის ვარსკვლავი –
კუდბაწარა.

1958



შპანასპელი ღღე მამლუშვილის


ბედაურები დიდხანს აჭერეს –
უდაბნოს ხვატით დაჭმულ
ქვიშაზე,
მერე ალაპი ილოცეს...
პირამიდებს კი უძილობით ღამე
უქრებათ,
გრძნობენ ისინი:
მალე ნილოსი,
ვეღარ მოისმენს
გმირულ ყიუინს მამელუქების.

1989



იდუმალი გზით მოსული,
მიმწუხრისას ისე ლადად,
ვითარცა ზღვის სული –
წმინდა,
ქარით შებუმბლული ტალღა,
სველ ნაპირზე ამოფრინდა.

1978



მას ჩაუგარდა თვეალში სამყარო

ბარს რომ ეწვია,
მას მოსდევდა მთათა მაყარი,
ვაჟა! –
ესმოდა სივრცის
ძახილი...
ვაჟა! –
ეძახდა ათასწლეული...
და... თვალი ფართოდ როს გაახილა,
მას ჩაუგარდა თვალში სამყარო,
ვერ ამოიღო...
და წავიდა
თვალმტკიცნეული...

1961

თბილისი – 92

არც ლაშქარი –

ბუღა თრუქის...

არც...

მზე, როგორც

მეშვილდისრე,

თბილისს სტყორცნის,

თვით ქართველი,

ცეცხლში მბოლავ სხივთა

ისრებს...

1992



დავით IV, 1069 შედები

“...მეფის წინააღმდეგ იბრძოდა
კლდეპარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში,
არაგვის ერისთავი ძაგან აბულეთის ძე და
მისი ძმა, ეპისკოპოსი მოდისტო”.

ცნობები “ქართლის ცხოვრებიდან”.

თექვსმეტი წლის დავით მეფის,
არც შიში აქვთ და არც ხათრი
და ხსენება მისი არც სურთ,
მაგრამ ქროლვით მოდის დრო:
ნახავთ ბაღვაშს თვალებდათხრილს,
და იხილავთ ძელზე გასმულს
ძმებს:
ძაგანს და მოდისტოს.

1961



რღვევა იწყეს ღრუბლებმა,
გაავდრებას ცა ლამობს,
ფიქრს მიეცნენ მთები,
და მოფრინდა საღამო —
ღამურების ფრთებით.

1978



ახლაც,

ზოგჯერ ქრწანისიდან,

ისევ მოაქვს ნიავს დილის

და აურჟოლებს ტანში თბილისს

ზარი,

რაც აქ დაირისხა,

არაგველთა ყიუინა და

მაჩაბელის დაირის

ხმა...

1971



საკინძეს ზოგჯერ შეუხსნის ელვა,

ცას –

გარსკვლავებით სავსე აქვს

უბე

(არ ვიცი რატომ, ვიხსენებ ნიცშეს),

ელიასავით მიარღვევს დრუბელს –

ყელგამშრალ მთვარეს

სწყურია სივრცე.

1987



კვლავ ფეხშიშველი ლოცულობს
თამარ,

მაგრამ არა და არა ჩანს
ღმერთი,
ეცემა ჩრდილი საავდრო ღრუბლის:
ეგრისში იღორს,
მესხეთში –
ხერთვისს,
და ქართლ-კახეთში გრემსა და
ურბნისს.

1992



სიხარული ისევ მიგაქვს –
მზის ბარქაშით,
მოვარის თევზით
და სიცოცხლეს უდგამ ბიჯგებს...
ასე,
ოცდამეტოქში,
მხრებგაშლილი შეაბიჯებ...

1989



სადაცა და ზუდადა

აღა, კი არა,
 სხვა მაპმად ხანი,
 ჩემს საქართველოს ადებს ყადადას
 და კვლავ ხუნდს
 ადგამს
 და სურს ქართულ სულს თავი
 მოკვეთოს,
 სად ხარ სადადავ!
 სად ხარ ხუდადავ!¹

1993

¹ გამაპმადიანებულმა ქართველმა სადალამ და სპარ-სელმა ხუდადამ 1799 წელს, ყელი გამოდადრეს საქართველოს დაუძინებელ მტერს – აღა-მაპმად ხანს.



კივილადდამდგარ ქვის სვეტან,
ჟამი თავისთვის
ერთობა...

კაცმა რა უნდა იწამოს,
როცა ჩაუვლის წიწამურს,
ღმერთი თუ...
სულ

უღმერთობა?..

1972



ტყაში მავა

მეწვევა და...

კოჭებამდე

წყვილ-წყვილ ნაწილებს

გაშლის

და ალერსის ტევრში მაბამს...

ღამე,

წყვილ-წყვილ ნაწილებს

გაშლის

და ალერსის ტევრში მაბამს...

ღამე,

მეგრულ თქმულებაში

გამიტყუა ტყაში

მაფამ.

1961

დუმს გილიოტინა და ეშაფოტი,
თუმც რხევა მესმის
გასანთლულ ბაწრის,
და როგორც პოეტს, სიცოცხლე მტკიგა,
ფართოს კი არა,
მივყვები გზა – წვრილს
და ნუთუ ესეც იქამდე მივა?!

1960



ახალი

“პოეზია უნდა იყოს მეღერი მხატვრობა,
მხატვრობა კი მუნჯი პოეზია...”

სიმონიძე კერძელი /V-IV სს. ძ.წ.ა/

თითქოს ახლა, აზრის ფუნჯიოთ,
ხატავს აქვე,
აქ ახალის,
მაღალ მთებში პოეზიას,
ვხედავ ბრძენ კაცს –
კერძელს,
თუმც აშორებს თცდახუთი
საუკუნე –
მეოცეს.

1975



მთა პელიკონის

ფლოქვებს მრისხანედ ურტყამს პეგასი
და ვერ ამდაბლებს,
და სალ

ტინებად,
მაღლა მიიწევს ჩემი სტრიქონი,
და მე ვმღერივარ...

ცას ებჯინება,
ჩემი ლექსები –
მთა პელიკონის.

1979



ხილვა – ღარსშელი

არმაზისა და ბებრის ციხეგზე
უცებ ავარდა ალი
კოცონის,
მტკვარში მიმოდის ნავი ქარონის,
თბილისს ლიმილი პირზე აშრება,
– რა მოხდა?!
– მცხეთას ცხენთა თქარუნიო,
ჩამოუქროლეს ყიზილბაზებმა.

1993



ისმის რქების ჯახანი,
ლომა,
ცეცხლის თვალება
ღრუბლების კამეჩები,
ცად ირევა იმდენი...
ქარიც ურტყამს ელვის

შოლტს,
მაგრამ ვეღარ მიდენის.

1963



ციდან ღმერთად მოვლენილებს,
ვინ,
რას ერჩის იმ გენიებს...
მაგრამ “მღერალ” ცეროდენებს –
ქინქლებივით იგერიებ,
თუმც ჟანგი ჭამს მათ
“ორდენებს”,
მათ “პოეტურ იმპერიებს”.

1994



ზამთრის დღეებს კი არა და,
თითქოს თეთრი მუნდირებით,
ჩაუვლიათ აქ ჰუსარებს...
და სურნელი ასდის დილის
ვარსკვლავების –
ნაქუსლარებს...

1974



ავის მდომი და მოსურნე,
გარეთ არა,
შიგნით გიზის,
ჩემო ხორგავ და ვეჯინო,
შავ ტოტზე მჯდარს,
ოქონ
სიფხოზლის,
გავ,
თუ წამით ჩაგეძინოს.

1994




მოუშვია მოქათქათე ღრუბლის წვერი
მოვარეს,
და ვით მეუდაბნოე ბერი,
ზის მარტოკა ცის მღვიმეში
და ვარსკვლავთა ენით,
კარგით,
დღის დაწერილ დამეს –
თარგმნის.

1967



წარსულიდან წყენით გვიმზერს –
ჩვენი იშხანი
და ბანა,
მათი ხსოვნა არ დაღამდა,
დროც გარდახდა...
და ცის ყანა,
ბევრჯერ ლურჯად აღაღანდა...

1989



მზე ჩასულია ზღვაში ყელამდე,
წელამდე წყალში დგას
მზევინარი
და კატარდები სახეს უგრილებს,
შორით კი ბრწყინავს ტანი
მდინარის,
მეჩერს გარჩენილ თევზის ზურგივით.

1972



ხმა

დიდი,

უპვდავი წინაპრის,

ბეგთარი აცვიათ გმირული,

ცისკენ რომ იწევენ,

ეს ჩვენი ხმებია,

და ჩვენი სულები –

მამულს შეწირულნი,

მიწაზე კი არა, ცაში შეხვდებიან.

1995



დამეულ ბილიკით მოსული ნიავი,
გულმშვიდად,
წვეული ალერსით,
ბლის კვირტებს ნასკვავს, ვით
ნასკვავდა,
ლიგლივა,
ცის ოკეანეში,
აუქ!
რამდენი,
ტბებია ვარსკვლავთა.

1976



საქართველოს საზიანოდ,
განუყოფელ ძმათა შორის,
ბობოქრობდა ოდით

შური:

ქართლ-კახური,
იმერული,
მესხური და ოდიშური...

1992



მზე მთათა მიღმა უცებ ჩაიმსხვრა,
და დღე ვერა და
ვეღარ ამთელებს,
რბიან ღრუბლების შავი დათვები,
ბრმა დამე მოჰყავთ
ციცინათელებს
და ნაკვერჩხლებით გზას
უნათებენ...

1962



ბევჯერ რბეული სპარსთა,
 ოსმალთა,
 ზღვისკარად მდგარი –
 მე ვარ გონიო,
 ობილი ქვეყნიდან ველოდები
 მოფრენას მერცხლის,
 და კოლხთა ქლებას და აგონიას,
 გუბაზ მეფის და აიგტის აჩრდილი
 შეცვლის.

1992



მიწას ევსება თვალები ცრემლით,
ცას –
გარსკვლავებით სავსე აქვს
უბე,
ვით დაღუპულთა სული მბორგავი –
ზეცისკენ მიაქვს მწუხარე დრუბელს:
ზღვის ნოქტიურნი,
ქარის ფუგა,
ზვირთთა ორგანი...

1993



წელზე პკიდიათ სატევრები
 სინათლეების,
 თავზე სიშორის ხურავთ
 თორები
 და დედამიწას თავზე ევლებათ,
 ვით ზამთრის სარჩოს,
 მთვარეს სადღაც
 მიაგორებენ,
 დამის ბუდეში მოფუსფუსე – მნათობების
 ჭიანჭველები.

1976



ათასწლეულები ჰკიდიათ ბილიკებად

მთებს და...

ცისკენ მზირალ მიწას

ამძიმებენ,

ვაჲ,

წინაპართა ცოდვები თუა,

ვარსკვლავები კი ოქროს ბარძიმებით

სვამენ დამეს და...

აყოლებენ

მთოვარის ყუას.

1961



ରହାଣୀତିବ୍ୟାଜ

ମତେବୀ ଫା ନେଇବୀ ଗାନ୍ଧମନ୍ଦାବୀ,
ଅତାଶ୍ଵଲେଖିବୀ
ମନୋଦରା,
ଯିନାକରିଲେ କୁଳୀ ରାମ ଆପାରିବୀ,
ଯେ କାହିଁ କି ଆରା,
ମିଥମୋଦରି,
ଲେଖିବାକା ଫା ନେଇବୀ ଗାନ୍ଧମନ୍ଦାବୀ.

1987



ციდან მოწყვეტა მეტეორების,
საუკუნეებს
აქარცივებენ,
თუმც ღამის ტოტზე –
უდარდელად სხედან
მთიები,
და ჟღურტულებენ ამქვეყნიურ
უსასრულობას...

1978



სამხრეთ საქართველო

საუკუნენი ნუთუ დამუნჯდნენ,
დაყრუვდა ტბეთი
და არტანუჯი?

არა,

ყივილი მესმის შატბერდის,
შავშეთის მთების,
მთების კარჩხალის:
ისევ გვახსოვხართ...
განა დავტერდით,
გულში გვიღვივი ვით ნაკვერჩხალი.

1995



სადღაც იღება,

ჭრიალებს კარი,

ს_ო_პ_პ_დ_ო_ლ_ი_

კარზე არის

წარწერა,

მოვა იგი და სულს შეგიბერავს

და გაგაყოლებს არყოფნის ქარებს,

ვით ბაბუაწვერას...

1994



როდესაც სუფრასთან კვლავ
ვბრუნდები,
ხელებს მიწვდიან
როცა ჭიქები,
დვინის სურნელით როცა ვბრუვდები
და სიტყვა ცეცხლად გულს მეფინება,
მაშინ უვლიან “დაგლურს”
ჭინკები
და... მოიწყენენ სერაფიმები.

1994




ქამს მიმწუხრისას,
გარსკვლავების
კლავიშებიანს,
დაუკრაგს დამე –
მოვარის როიალს,
ცამ იცის მხოლოდ
რომ ეს ღრუბლები,
დარდით მოცული მამალმერთის
ყალიონის –
ბოლია.

1962



ქართული სიტყვის რჯულმდებელი
და სტრიქონებში –
მზის მთესავი,
ცურტაველიდან,
მერჩულედან,
მისხიდან-მისხით,
ყველა შენია ქრისტესავით,
რადგან შენი სიტყვა –
პოეზიაა წმინდა სისხლის.

1979



ადიდებული,
ღამის გაღმიდან,
მზეს ყივის,
როგორც მამალი,
თუმც ნათლის წვეთი ჩაუქრა,
უნდა გაიხსნას
ცა მალე,
მე ვიცი,
რასაც ჩავუთქვამ.

1992



ალექსა

ცოსტის და ხოვლის

გამთენისას ბორგვით და შფოთვით,

კასპთან შეჩერდა

“თბილისი – ფოთი”,

მიდამო უცებ თეთრად შეიბურა,

და შეესია ფიფქები თოვლის –

ნოსტეს და ხოვლეს,

ფიფქები თუ...

მარბეველნი,

კვლავ გამოუგზავნია

მეფე თეიმურაზეს...

1994



ბებია

ხელის მოწრდილვით გახედავდა
სივრცეს
ბებია,
მერე იტყოდა
დამწუხერებული:
ეს მთა-გორები,
ნეტავ ვისი,
საფლავებია?!
- ?!

1964



ჩამჯდარს ცის ლურჯ სავარძელში,
მთვარეს –
თეთრი მუხლი უჩანს,
თუმც იფარებს მოქათქათე ღრუბლებს
მუხლზე,
მზე კი ღამეს ეფარება
და იქიდან ჩუმად უმზერს...

1957




ადარ ასვენებს ადამის მოდგმას,
კაუნის ცოდვა,
მიწაზე რომ ტკივილად
დადის,
შენც გარყევს უამთა დელგმა და ქარი,
თუმც ხელებს გიქნევს –
– დიდი მგოსნის
მაღალი ლანდი,
მარადისობის კარებოთან მდგარი.

1989



თვლემდა ვარსკვლავთა მაყარი...
და ღამებ მამლის
ყივილზე,
გახედა სუფრას ნამთვრალებს, -
ღვინის მზით იყო ნაწვიმი...
და მაინც ბოლოს,
ცამ მთვარე,
ჩამოატარდ ყანწივით.

1977



სანაპიროზე პატარა გორაკს,
ქუდივით ხურავს
ასკილის ჩირგვი,
ცაში თვითმფრინავს – თეთრი ქვამლი
გაჰყავს ლარივით,
ვით დავით ულუ,
ანდა ნარინი,
ზღვა თვითონ იდგამს –
უულურჯესი ზვირთების
გვირგვინს.

1984



მს მთები

პატარა კახივით,
ყინვის ჯაჭვის პერანგს,
გაზაფხულს გაჰკრავენ,
როცა ბრაზდებიან,
ეს მთები კი არა,
ჩემი წინაპარი,
დევებთან მებრძოლი –
ბუმბურაზებია.

1965



ღამის უღრან გამოვლილი,
უძილო და
ნაჯაფარი
მოვარე,
მოჩანს ვით მესია,
ქართულ მიწას, ვით თათარი
ცას ვარსკვლავი შეესია...

1965



შეხლა -

შემოხლა,

სჯა და ყაფანი,

ცხოვრება კაცთა, მოჰგავს ბაზრობას,

არყოფნას კიდევ არა უშავს,

მაგრამ ყოფნაში

გხედავ,


გეითხელობ სრულ უაზრობას.

1994



წარსულ დღეთა ტკივილი,
თუ არ დამიამა,
მაშინ გამაციოს:
სიყვარულის ნიაგმა,
“იავნანას” სიომ.

1979



მწუხარით დახურულ ამ ცისქვეშეთში,
თუმცა სიცოცხლე არის
საამო,

მაგრამ არ ყოფნას,
ყოფნის ბჭესთან ვერგინ მიაწრებს,
და ყოველივე არის ამაო,
ვამბობ ჭმუნვით, ვით ეპლისისასტე.

1961



ეპრიანდეს მეღვა

დევს ჩემს წინ სამი ათასწლეული,
ვით სამი წიგნი,
გოდებს და მოსთქვამს,
ბედს დასტირის ვიღაცა შიგნით,
ვინ არის იგი?!

1977



იქით დღე იდგა,
აქეთ კი დამე,
ცის ბრძოლის ველზე,
დილა ჭიხვინებდა ვით რაში მარატის,
უპუდგა მთვარე,
უჯარო სარდალივით,
ფერდაკარგული,
გარსკვლაგების უღვთო დალატით.

1961



სანაპიროზე ისმის ჩურჩული:

— მიორქი წიე.¹

— მახოლო

ძღაბი.²

ცის შავ დაფაზე დამე წერს მოიებს,
ქარი კარნახობს

ჩუმად,

და ზღვაც,

უსიტყვოდ თარგმნის...

1960

¹ მიორქი წიე — მიუვარხარ, ბიჭო. /მეგრ/

² მახოლო ძღაბი — მეც, გოგო. /მეგრ/

უზარმაზარ ცის დარბაზში,
 მოწყენილი გარსკვლავების
 კანტი — კუნტად ისმის
 ტაში,

ცემვავს ელვა ტანმორჩილი,
 ღრუბლებს მთვარე იღლიაში,
 აქვს წიგნივით
 ამოჩრილი.

1958



ვიყავი პლდე პიტალო
და ვერავინ მომხრიდა,
ძველებში,
ვერც ახლებში,
რა ვქნა,
ახლა გავდიგარ –
წუთისოფლის ქოხიდან –
მუდმივ სრა – სასახლეში.

1995



ათას წლის მერე დაუბრუნდება,
 არ ყოფნა,
 ყოფნას ისევ შეუვლის
 და მზე ენთება ჩამქრალ თვალებში,
 ო, არაუშავს სულს –
 უსხეულოდ,
 მაგრამ სხეული, სულის გარეშე?!

1987



ქართველი ზღვაზე

ზღვა ყალყებე დგას...
და არსაით,
არც ძახილი...
არც ნასტვენი...
ციდან ხმები ისმის ღმერთთა,
აირია მონასტერი, –
ზეცა –
მიწას შეუერთდა.

1965



პოეზიის კლდეს მიჯაჭვულს,
გულ-ღვიძლი რომ
დამიკორტნოს,
მე,
დამე მყავს მიჩენილი,
ციხკენ ვილტვი...
ოცნების ნავს,
დღეებს –
გუსგამ ნიჩბებივით.

1979




გამოენისას აღმოსავლეთით,
როცა ნათელი,
დილას შეება,
როცა ცისკარმა მზე კვლავ დაბადა,
მაშინ ცის ჩრდილქვეშ
მდგარმა ხეებმა,
მყისვე აკრიფეს თავიანთი გუდა-ნაბადი.

1989



ქართველ დედების მესმის გოდება,
 შურის ნაცარში გახვეული
 მტრობა კვლავ დვივის...
 და შავნაბადას... და თელეთის ძელი
 კორდებით,
 აღმოსავლეთიდან,
 როგორც ადრე საყვარელ
 თბილისს,
 “წითელი ჯარის” შავი ლანდი
 უახლოვდება.

1992



დავიწყებისამენ მიერეკება –
საუგუნეთა ქარი –

აშარი,

მოშაირეთა “მსხვილ – წერილფეხობას”,
შენ გსურს, რომ ლალად ფრთები
გაშალო,
მაგრამ საფრენად ცა –
არ გეყოფა...

1992



ახსოვს რიონს

თათრების და ოსმალების –
აგბედითი ქარი ქროდა
კოლხეთში და...
დრო-წარსული ახსოვს რიონს,
მიტომ ტალღებს რიყის ქვაზე,
როგორც “გორდას”,
ჩუმად ლესავს სახვალიოდ.

1993



პეისარს პეისარისა

ქართველების სისხლით მთვრალებს,
ღმერთმა იცის რაც ეგების:
ბევრი ბნელში შეისრისა,
ბევრსაც გულში განეწონა –
მოზიდული ფრთე –
ისრისა,
რა დღეს,
რა ხვალ მიეგება,
– კეისარს კვლავ კეისრისა.

1989



წამოიშალნენ ჩემი ლექსები
ორბებივით და სივრცის ტოლი –
ფრთხი გაშალეს
და პოეზიის ცა გადამალეს,
ფშაველ დევივით მეც მფარველობს
ჯვარი
ლაშარის,
“თუ ტოლი მყვანდეს,
მევიწროვის თვითონ სამარეც!”

1969

როდესაც ქარმა ხელი გაუშვა,
კლდეს დაეჯახა
და შებარბაცდა
და ახლა ვეღარ იპავებს თავს,
თოლიები კი წივილ-კივილით,
სულს უბრუნებენ
გულწასულ ზღვას.

1978



თავი მიანდეს ქარს და ქარიშხალს,
 სიცარიელით უბე აივსეს
 და ტივტივებენ წყალში
 ბოთლები,
 ფრთებს როცა წითლად გაშლის დაისი,
 ზღვა ვარსკვლავებით –
 შეიფოთლება.

1989



არ გვეშინია ქვეყნად არ ყოფნის,
უჩინმაჩინის სამოსელით
არ ვიმოსებით,
მოკვდაგნი მარად მიწად ვიურვით –
რადგან,
ვით ეს ცა –
ანგელოსების,
მიწაც,
ასევე არის ღვთიური!

1994



სიშორითა და სიცივით –
გარსკვლავებს თითები ეწვით...
ჩანს,
და არა ჩანს მთვარის
ბორცვები,
უსასრულობა ფერმკთალი ზეცის –
შენეული არის ოცნება.

1978



ეგელა ურჯულო,
უღმერთო და უგონოა,
სატანის მსახურო,
ქართველების სისხლი სწყურებიათ
და... ქრისტეს კვართი,
რომ ანთია მინდვრებზე ქართლის,
ყაყაჩოები ნუ გგონიათ,
მათი სისხლიანი
ნაფეხურებია...

1961



ეპლესიის ზარები,
თვალს როდესაც მიღულავს,
ისევ ველტვი უხილავს,
არრად მგდები ხილულის,
რადგან ამას მავალებს,
სული აღმა მავალი...

1964



ზღვას ციოდა და ამორბოდა მაღლა
ნაპირზე

და კბილს კბილებზე აცემინებდა..
არ სცოდო! –

ცაში კიოდა ქარი,
ქანცგაწყვეტილი –
ქალწული მთვარე,
ბანჯგლიან ღრუბლებს მაინც მინებდა.

1967



ბალთაზარი

ნაპირზე ევფრატის –
ისმის ხმა საზარი
(მოჩანს ცა უნაპირო...)
დასტირის ბალთაზარი,
იავარქმნილ ბაბილონს.

1959



რა სიმრავლეა ცაში მნათობთა,
მიწის ლანდების რა სიმცირეა,
და დღე,
დამეში როგორ ირევა...
ყოფნა – არყოფნის შუა გადებული,
ცხოვრება კაცის თურმე ტირეა.

1966



ლვთის ჩრდილში მდგარ ლოცვის ხეს,
ცვივა ცრემლის –
ნაფოტი...
და ჩემს დღეებს გაძართან –
გარდასულ ნახანძრალთა,
სიზმრები კვლავ აბოდებს...

1968



ქათქათა თოვლის ნალით დაჭედილ,
ათასწლეულებს მიაჭენებენ
და ამაყ კისრებს იდრიკავენ
ჩემსკენ ქედები,
რა დღეს და რა ხვალ,
ამ სიბნელიდან –
შენი სახელიც ამოთენდება.

1960



ଓ'ତୁଳନା

ଓରି କପିରାବ ଗଦିଆ କିବିସକ୍ଷେପ,
ଅରାରାମବିଶ ମଧ୍ୟବେରମି ନାଗଲେବି
ଏବ ଲାମ୍ବୁଲି ପିତ
ଶେଷୁତୁଲି...
ଫଲିଗ୍ର ଗାବବିଲା ଗୁମିନ ତଗାଲେବି
ଏବ...
ଥିଲେ ହିମୁରୁନ୍ଦେବ
ଶକ୍ତି ଓ'ତୁଲନା.

1962



სხვათაგან მარად უცნობი,
მოესმის ხმა და ძახილი
სულს,
და... ცად ილტვის საწყალი,
თუმც ძირს ეწევა სახმილი,
ჰაური,
ზორა,
და წყალი.

1992



დაბადებიდან მის ძახილს ვისმენ,
ის არის, მზეს რომ
ვარდისფრად მიკმევს
(ოუმც ფერი მაღევს სახეზე მიტკლის),
და...
ნელა-ნელა, ვითარცა რილკმ,
ყოველდღიურად მე ვსწავლობ
სიკვდილს.

1995



არ მოედოს მნათთა რიფებს –
გატრუნულებს სავერაგოდ,
რადგან ელის გზა –
მაცდური,
ღამე,
მთვარეს, როგორც არგოს,
წარსულში და...
პონტოში რომ მიაცურებს...

1964



დღეები დედაბერივით,
მთების მოვერცხლილ
გორგალზე,
ფიფქების ძაფებს ართავენ...
და თოვლის თეთრ სარეცელზე –
წვება ქალწული
ზამთარი.

1962



სული მწუხერით ნატკენი,
მაინც არ დამიამდა,
თუმც დამტოვა დამემ და მწუხარე
ნოემბერმა,
ახლა ვზივარ ზღვისკარად,
ველი ცისფერ ნიაფს და
მის დვთაებრივ მობერვას.

1959



ყოვლისმხილველი თვალთა უპიდან
(რომელსაც უამი მალე)

გამოხრავს),
მარად ჩაუმქრალ მნათთა სინათლედ –
ვხედავ ხმალაწვდილ
ჩემს დიდ წინაპრებს,
ათასწლეულთა გადმა-გამოღმა.

1989



ცად ღვიოდა ნაკვერცხები,
მაგრამ უცებ ჩაქრა ღამე,
გავიფიქრე:
რისთვის დმერთო?!
რომ იმ წამსვე ღრუბლებიდან –
მთვარე თეთრად ამოქნთო!

1961



მჰა, მამულო

შურით გიმზერდა მუდამ ურჯულო,
ვითა მხარგრძელი –
ქვეშ გამხედვარი,
რადგანაც სული გქონდა მდიდრული,
მით იყო ხელი –
ხმალს ჩაბდუჯული,
მით იყო მზერა –
მშვილდ მოზიდული!

1994



ცურსავსე მდინარეები
მთებიდან ჩუმი ბდავილით,
ეშვება როგორც
ნახირი,
შორს,
აძაგრული ღრუბელი,
ელვის ეშვება აჩენს ტახივით.

1961



გითარც უვლია,
ლეგენდის გზით მიდის კოლხეთი,
არ ეშინია უკან მოხედვის,
კოლხეთს უნახავს დღე უარესი,
ისევ ადდგება...
გამარჯვების ტოტზე
დაკიდებს
ოქროს საწმისს –
ჭალა არესის.

1993



სიყვარულის თეთრ კარავში –

პვნესაა თუ ამბორია...

აქ

კი,

ტალღებს ამსხვრევს

ზღვის პირს –

მეხთატეხა და ბორია,

ცა –

კაპასი და გვეს-გლისპი.

1964



გაშას ანდერძი

შავ ტაიჭით როს ჩამოვა,
ლაშარით თუ გუდამაყრით
და წამიყვანს...
და მაყარი
წავა...
ქვა-ღორღს ნუ
დამაყრით,
ფშავის მიწა დამაყარეთ.

1967



საომარი ეტლით მეხი გადაირბენს,
დაედება ცას მგლისფერი,
და გაიშლის ქარი დალალს,
ღრუბელი კი,
ვით წარსულში,
ქართლში ბერი,
მოსასხამში ელგის მახვილს,
კვლავ დამალაგს.

1984



ზეათა ჩონჩხები

ღამეებიც და ღღეებიც,
მათ დაუნდობლად
უხოცავთ,
წინ უდგათ წლების ხონჩები...
და უფერო და
უხორცო –
ცოცხლობენ ხმათა ჩონჩხები.

1992



ოქროსფერი შემოდგომის ცა
 უეცრად გაცრიცა,
დამედ დაჭკნა –
 მზის დუყები,
ზღვა –
 ქარიშხლის პერანგს იცვამს
და ლურჯ ნაპირს მიუყვება...

1974



დღეების აფრებით,
 ვითარცა იმედი,
 თან გახლავს რუსთველი,
 ვით დიდი
 მიზანი,
 რომელიც ასწლეულს მისტერცნის
 ნეპათი,
 მიარღვევ ქამთა ზღვას...
 ზურგის ქარს გიგზავნის
 ღმერთქალი –
 პეპატქ.

1992



ვარსკვლავების ოქროს ზოდებით,
ცა აუგია,
თითქოს ფიდიასს,
სადღაც ლოცვები თვალებს ახელენ...
თუმცა ცის ჭერზე –
მთვარე პყიდია,
ვითარც დამოკლეს ბასრი მახვილი.

1961



აქ, მეტახთან

რომ არასდროს დაავიწყდეს,
აქ,
მეტეხთან,
აი, ახლაც,
ეური უგდეთ მტკვრის შავ მორევს:
თბილისს თავზე,
რაც გადახდა
გულში, როგორ იმეორებს...

1993



დუმილის ფოთლები –
მოესხათ ლოდებს,
ცას და ცის არეს,
დუმდა ზღვაც...
მაგრამ,
– გამოენისას წამოსცდა
ქარი.

1962



დუღს და გვარგვალებს ცის გვამი,
ლრუბლებს სიშავე –
ლვარად სდის...
ბნელშიგან გიღაც გაჲკივის:
ვაიმე! –
წეთისოფელი,
მწარე ყოფილა შხნაკივით.

1992



ზვავთა სტუმრობა –

ამკლებია,

როცა მთებზე მზის ფეთქდება ნაღმი,

დამშრალი ხეგ-ხუკები –

აკვნებია,

მოვა გაზაფხული და...

ჩააწვენს,

წყლის ტიტლიკანა ბალდებს.

1961



ისევ გაცემა...

ისევ დალატი...

გლოვის დღეები ისევ მოვიდა...

კრწანისის მწარე ცრემლთან

მიხვედი,

ადე,


პოეტო!

და დადგორიდან,

დიდი დავითის ბრძოლის ველზე

გადაიხედვ.

1994



ცეცხლს ცრიდა ცა,
მზის საცერიო,
მერე უცებ,
როს დაღამდა,
ატყდა ქარის რია-რია...
გამოექცა ზღვას ტალღა და...
ნაპირს თავი
მიამსხვრია.

1961



ამაღლებას,

ვით ქრისტე,

წუთი-წუთზე მოედი

და... გტანჯავს უმწეობა,

რადგან ვერაფერს გშველის –

მზის და მოვარის ძეობა.

1989



დამის ბუნაგში სხედან უმზეოდ
და წუთისოფლის მტვრიან შარაზე
წუხან დღეები –
უხმოდ ჩაგლილი...
მამაზეციერს,
სახლ-კარი რომ
არ გაუთვალონ,
ზედ ცისარტყელა უკიდია ცხენის
ნალივით...

1963



პუნიანი

მარტო ადამს კი არა,
 ბრალი იქ,
 მეც მიძევს,
 მასზე ფიქრი ალბათ, აწიც ბევრსაც
 შეშლის,
 შეხე ადამის ძეს –
 ცოდვას ადამისას,
 მოუხრია წელში.

1960



დამეს სურს ცივი უსაზღვროება –
მთვარის ყანწებით ჩუმად დალიოს,
დილა
კი,
ყოველ ცინცხალ ალიონს
ცის ხელისგულზე იყრის ღრუბლის
ოქროსფერ
თუთუნს
მამაჩემივით...
და აჩაღებს მზეს,
კით ყალიონს.

1962



ჯოხით ხელში სოფელ-სოფელ,
რომ მიმოდის რწმენად
მოძმის
და აცვია ტანზე ძონბი,
ქრისტე თუ გადაცმული,
ოცი საუკუნის წინათ,
გოლგოთაზე –
ჯგარსგაცმული.

1964



ავმა დრომ ფრთები შეაჭრა, —
ცხოვრება ექცა გალიად,
ქართველის გული —
არ გულობს,
აბა, რა თქვენი ბრალია,
ჩემო “გორდავ” და
“ფრანგულო”!

1996



მიდამო მერცხლების ჭიკჭიკით,
 ო, ალბათ,
 სულ მალე გათბება,
 და ათას სიხარულს გვპირდება:
 ტყემლების ქათქათა
 ბაფთები,
 ნუშის თეთრ მკლავებზე
 აცრილი
 კვირტები.

1959



მიმწუხამდე მზე კორტნიდა –
დელის პირას დამდგარ
იფნებს,
მაგრამ მაინც ვხედავ უცვლელს,
თუმც სიცხიან შუბლზე იფენს
(პ),
მთვარეს,
ვით ფხალის
ფურცელს.

1959



აქ არაფერი შეცვლილა:
ითვლება კუბოც...
აპვანიც...
(უამი მისახვევს მიახვევს),
მიმწუხერი ცის ოგვაჯეში –
მთვარეს ისევ დებს კვერცხივით,
ისმის მნათობთა კაკანი
და სიკრცეების კრიახი...

1964



რუსთაველზე მიმიწევს გული,
რომ ვუწილადო ჩემზე,
უპოვარ მგოსნებს გროში,
ჩემო რამინ და უშანგ,
რას იზამთ,
არა უშავთ,
ვცხოვრობთ დაღუპულ
დროში.

1994



სახეშეფაპლულ დასალიერთან,
 ყინვით დამზრალი –
 სად ცის კიდეა,
 ვარსკვლავნი მალე აინთებიან,
 შხარასთან მაღალ კლდეს რომ
 ჰქიდია,
 ჩანჩქერა არა,
 დალის თმებია.

1976



ვიდაც მოვიდა ამ წუთისოფლად,
უთენია რომ
იქუხა თოფმა,
ცა აწრიალდა მთვარის ნისკარტა,
დამეს მოსწყინდა ყოფნა უმზეოდ
და ელოდება –
დილას
ჭიშკართან.

1961



გამთენისას ატყდებოდა როცა გნიასი,
 გვეტყოდა დედა:
 მიჰყავთო მამლებს ღამე,
 შებოჭილი ყივილის ბაწრებით,
 მერმე დასძენდა:
 მზე დგებაო ადრიან დილით,
 მაგრამ მას მამა,
 ოქვენი მამა მუდამ
 ასწრებდა...

1959



ვითარც ჰერმესს,
თან მახლავს,
აგლიათ —
ქარიტა,
ლამაზი და საწყალი,
ზღვას ვაღელვებ ქარით და,
მერე ვეღარ ვაწყნარებ...

1974




გადამფრენი ჩიტებივით,
ფოთლები კვლავ გაყვნენ
ქარებს,
მზე ელავდა, როგორც ხვითო,
ჩაუგარდათ ენა რიფებს,
როს ტალღები თითო-თითოდ,
სიჩუმეში გაიპრიფნენ...

1978



ო, ჭეშმარიტად,
ჭეშმარიტად,
ოქვენი გულისთქმა,
კვლავ შიშველია, როგორც ჰეტერა,
და სტრიქონებში თესო აპათიებს,
ჩემი გალობა დვთის ტაძარში
ვეღარ ეტევა,
და ვითარც ქრისტეს,
ვიცი ამას ვერ მაპატიებო!

1978



მცხედარს კი არა,
 ბარები მიწას –
 აყრიან ხსოვნას და დავიწყებას,
 და ვწყევლით სიკვდილს,
 ჩვენ სამარე რომ გაგვიმზადა,
 რადგან არ ვუწყით:
 ჩვენი სიცოცხლე,
 სიკვდილიდან რომ ამოიზარდა.

1961



ALBERTSU

მზისგან ოდნავ გათელილი,
დამის შავი ნაბადი და
მოვარის თეთრი ყაბალახი
შვენის ცას და...
ზღვის მინდორზე,
ღრუბლის ფარას აბალახებს...

1957



ხმა შოდამურთან

საქართველოს მთად და ბარად,
ფიქრი ჩემი,
კით გავაზი —

ქროდა...

და მზით დავიტვირთე,
შებლში ტყვია მითავაზეს,
მამულისთვის ჯვარის მტვირთელს.

1976



შორიდან მწუხარით მზირალო,
არტანუჯო და
პარხალო,
უნდა გავარდე ფირალად,
ნასაკირალს და არხალოს,
ან დაგიბრუნო შენს
მშობელს,
ანდა ქვას თავი ვახალო!

1965



სიცოცხლის და სიხარულის
 ნერგმა მაინც არ იხარა!
 მაღლა იყვნენ,
 მაგრამ ალბათ,
 მეტები და ნარიყალა,
 თვით კრწანისმა დაადაბლა!

1991



შავით მოსილი ღრუბლები –
ზეცის მდგმურებია,
სადღაც
დასავლეთით,
ზღვის დასატირებლად,
მოთქმა – გოდებით რომ
მიეშურებიან...

1967



არ ასრულდება არასდომს

გიორგი გიგაურს

არ ასრულდება აროდეს,

ის,

რაც სურს ლექს და დიდოსა:

დმერთმა,

სამშობლო – ივერთა,

ფეხზე რომ დაიკიდოსა.

1992



ჩვენ რომ ვხედავთ,
მაგრამ დღისით,
ცის მინდორზე
ვარსკვლავები,
სულ ქარვისფრად დაღანებენ...
და დღის ბოლოს,
მზის ჭიშპართან –
მოელიან დაღამებას.

1962



ცისა და მიწის დაცამლებავი,
 გულში უბორგავს ძალა –
 მთებური,
 განა დაჩიავდა და დაქნინდა,
 ქარიშხალს ხელში ატატებული
 ზღვა,
 კვლავ ამოჰყავს
 დელვის
 აკვნიდან.

1973



თვალს ვერ ვუსწორებ ლორენს,
მზის დიდ პალოზე
დავები,
და ახლა როგორც ჰუსენს,
ვუმზერ კი არა,
ვუსმენ,
მის პეიზაჟებს დგთაებრივს.

1966



პეტარა

სალი ქლდის ქიმზე ქანაობს,
ვით ცის და მიწის სასწორი,
ციხე-სიმაგრე კვეტარის,

და...

მზერას აღარ აშორებს
დრო-ჟამი —

რკინისმკვნეტავი...

1989



ჩაესმის მიწის უხმო ძახილი

ცას -

ვარსკვლავების ქვებით

მოხრეშილს,

არსად ქარიბდა, და არც სცილები,

და მიდის გემი ზღვის ამდვრულ

სიბობოქრეში,

ალბატროსები და ტალღები მიაცილებენ...

1988



არტაბი

ციხე გოჯიდან გავცექერი –
გარდასულ ბრძოლის
მინდორ – ველს:
მესმის ყიუინა არტაგის,
ხმას არ ეტყობა სიმდოვრე,
ხსოვნა რომ მომიფარდაგა.

1960



როცა ზღა ღელავს,
როცა ქრის ქარი,
მე
მაშინა ვარ მშვიდი
და წყნარი.

1972



ატილას ლანდი

წარსულის ცაზე გარდაიქროლებს,
 კაენის ლანდოან,
 ლანდი ატილის
 (შიშით სულები კრთიან ჰუნების...)
 ის,
 თავის მოკლულ ძმას თავს დასტირის
 და ასე დიან –
 საუკუნენი...

1968



შორს,

სადღაც სიმყუდროვიდან,

ელგის ფრთით

გადმონაფრენი,

მეხის ხმა ისმის როყიო:

რა ეშველებათ

ვარსკვლავებს,

ცაში შიშვლები —

რომ ყრია!

1978



თენდება...

და გამოდიან –

ლრუბლების სამალავიდან,

ლრუბლებზე უფრო შავები,

და მე მგონია:

ყვავები

მოფრენენ შავი დამიდან...

1981



დავიწყების შავ ნიაღვარს,
სიყრმის წლები მიაქვს ტივად,
ხსოვნის ღელე ჩანს ადიდდა,
რადგანი დღეებს ვხედევ მტირალს,
ყორათთან და
ჭალადიდოან.

1993



მერცხალი – ტყველის ზერია

მოდის არაგვი...

და ნილოსივით,

მთებს,

ბუმბერაზებს უმტკრევს

ხერხემალს,

ხოლო მერცხალი ანთეოსივით,

ალბათ,

ბალდონეს იკრებს როდესაც,

ქათქათა მკერდით,

მდინარის მკერდს ფრთხილად

ეხება.

1965



ზღვისებრ ბობოქარ საუკუნეთა,
რა ცა და რა მზე –
აწვიმს და ათოვს:
ფარაონ რამზეს
და ყაენ ბათუს...

1962



შური

ძმავ,
 ძმაო ჩემო,
 ქრისტესმიერო,
 აგე,
 წარსულში გადაიხედე:
 შურით, ვითა სდევს დავითს
 საული,
 და ვითა კვდება, როგორც იქმდნე
 და როგორ ბრწყინავს –
 ღვთის საუფლოში
 დიდი დავითის მეუფების
 დღესასწაული...

1994

დღეს დაქანცულს და სულთმობრძავს
და ჩამომდგარს –
მწუხერის კართან –
ეცა დამე, ვით ავსული,
და ზღვა უცებ ქარმა მკლავზე –
მიისვენა გულწასული.


1979



ცოტვე

ლეგენდებით და მზით შემოსილი,
 გაჟყვება მღვრიე
 ათასწლეულებს,
 რწმენის ამარა, ვითარცა ქრისტე,
 როს ძმათა თვისთა,
 სატანჯველად გვემა სხეული,
 სული მაშინვე გაფრინდა ცისკენ...

1977



იყვნენ და აღარ არიან –
ურანია და ტიდრე,
ზღვა იქცეს ღვინოდ –
ძელგად,
შენ კი სამშობლოს ძეგლად,
პოეტო! –
უნდა იდგე…

1987



ღმერთმა რაც ჩემთვის გამოიმეტა,
დიდი სიცოცხლე და
სიხარული,
ვითარც საგზალი აქამდე მომყვა,
და აწ...
დასაკლავ ნიშა ხარივით,
იმედის მარილს ვლოკავ და ვლოკავ...

1994



მწერალებას რომ მარცვლავს –
ეურს ვუგდებ
ფერენც ლეგარს,
სადაც კოლტორნის ნაცვლად,
მეუფეობას ჩემობს –
ვიოლინო და ჩელო.


1972



ՀԱՅՈՂՅԱԼՈ

Յորս Շյօկրացք պահանջանակ,
 Յոտ նացիալու,
 և նայրմանու,
 Ըստ ամս վայսենաց արշ – Ռա մոխորցաւ,
 Մոցուեցացու,
 Ռոցորշ մշրմանու,
 Վյալս ույ դաշլեցու մեծրուց
 Օնչուցան.

1995



ქუხს მეთორმეტე საუკუნე,
და მეფის კართან –
მთხოვნელების:
სულტანების და ქეისრების,
მალემსრბოლები კვლავ გახშირდა,
-და ღამეს –
ფერად=ფერადი
სიზმრები,
ამოაქვს წარსულის ზარდახშიდან.

1962

მიატოვეს ზღვის იალაღები,
 დამის სიშავე,
 მთვარის მორევი,
 ისე მიაწყდნენ ნაპირს ტალღები,
 თითქოს და ლომის ბრდღვინგამ აყარა
 მთის კორტოხებზე
 ნიამორები.

1978



ზაფხულიც და შემოდგომაც,
ელვის ქსელში გახლართულა
და თავს იშვებს ნება –
ნება,
მზეში არა,
ცა ქართული,
ცისარტყელას ფერში დნება...

1967



ერთჯერ გაჩენა,
ასჯერ სიკვდილი
და ხეტიალი მთაში თუ ბარად
არსოდა გამრიგემ ბედად არგუნა
და...
ზღვაზე ისევ მოვარდა ქარი,
ადრე,
შორს,
სადღაც გადაკარგული...

1979



ძველი ოლაგე...

ტრიფოლიატი...

და დიდი ქზო...

ბაღი ხეხილის

(ჩემი ბავშვობა ბროწეულებს აქ
იპარავდა),

და ჭასთან ფაცხა

იღია

გლეხივით,

წაიქცა ფაცხა

ქზო უცებ დაპატარავდა.

1984



ღელვა დუნიას გადაუკლიდა,
ათავთავებულ ზვირთოა ზვინებთან –
თავშესაფარს რომ

აღარ

ეძებდეს,
ზღვაც ჩვილ ბავშვივით სულ იძინებდა,
ქარიშხალი რომ...
არ აღვიძებდეს.

1988



სადღაც,

შორს,

სადღაც

ციკ სიშორეში,

ჩემს ქართულ ცას რომ მაღალ შუბლზე
დარდად აჩნია —

მთვარე,

ისაა ჩემი დობილი,

სხვა არაფერი არ გამაჩნია,

მხოლოდ ჩემს დიდ ფრთებს —

გარ მინდობილი.

1959



უეცრად საავდოო ღრუბლებმა –
 ყიფინით და ელვის მშვილდით,
 წარსულის ცა გადიქროლეს,
 ვითარც ჰუნებმა,
 ზღვა იყო წყნარი და მშვიდი,
 მაგრამ...
 ქარის ხმაზე,
 აემდგრა გუნება.

1958



ვერ ძლებდნენ
თურმე უერთმანეთოდ –
მზე და მთოვარე –
ძველი ცოლ-ქმარი,
მაგრამ ამ ქვეყნად რაა მარადი?!
გაყრილან...
ახლა,
სულ ახლო, ახლო,
ერთი დღეში და...
მეორე კი დამეში სახლობს...

1959



ოუ ასე გაგრძელდა,
 ზაფხულის ბაღებში,
 კვირტები კი არა,
 ტოტები შეხმება,
 რადგანაც არა ჩანს წვიმა და...
 არც ცვარი,
 ქალწული ფოთლები გულის ფანცქალით
 ელიან წვიმის ხელის შეხებას.

1979



ცის სიახლოვეს სდუმან ქედები,
და მთებს შუა,
შავი არაგვის –
შუალამე მოჩქეფს ადიდებული
და მერე გვიან...
ცის სველ კერაზე,
ქარი მინავლულ –
მოჩხრებს ვარსკვლავებს...

1962



ნათლით შემოსილს,
ვითარცა ქრისტეს,
ეძახდა სულ სხვა სასუფეველი,
რადგან მიწიერს მზის და მთვარის სისხლი
ერია,
და...
მიმწუხარისას ამაღლდა ცისკენ –
მნათობთა მტკერში გაერია.

1991



უეცრად გაავდრდა
და ახლა ახლიდან,
დარდების ქარიშხალს
წვიმები ესწრება,
ნათელი გამოკრთის შენს თვალთა
სარკმლიდან,
თუმც უშლის წამწამთა –
მესრები.

1959



დგას გაზაფხული და აპრილის ტოტებზე –
კვირტებს აფეთქებს
ნაღმივით
და კვამლში ბოლავს ცის ერთი მეცხრედი,
ღამე კი დილამდე –
მზის ბუხარს აღვივებს –
ვარსკვლავთა ნაკერჩელებით.

1978



მოგელის “სიკვდილის წყლები”,

მიტომ ხარ შეშლილი,

იცი:

დღე გექცევა ღამეთი,

პოეტ!

თუმც გილგამეშივით,

დგთიური მეტი გაქვს,

ერთი მესამედის.

1990



ერთგულად სდევ იმ ძველ ანდრეზს,
ისევ ისე წუხ და ხარობ,
ამ საწუთროს გადამკიდე,
რა დიდი ჩანს –
ეს სამყარო,
რა ახლოა ქვეენის კიდე!

1991



წუთები სადღაც მიიჩქარიან,
უამთა დინებას
ვერავინ ვერ ცვლის,
ვერც კაცთა მოდგმა,
და ვერც ცათა ძალები,
მზე –
ოქროს ჭიშკარია,
მთვარე კი –
ვერცხლის,
რომლებიც იღება დღე-დამის ბრძანებით.

1981

ဤပုဂ္ဂနိုင်

ဂိုလ်မောင် ပာဂ္ဂနှစ်ပါး သာမဏေနာရာဖောင်,
မျော်းစွဲတွေ့ပါ နေ စောင့် မိမိဖောင်၊
ရာဇ်ကြောင်း မိမိဖောင် ပုဂ္ဂနိုင်တောင်
ဆုံးဖြတ်ပေါ်ပါ.

မြတ်သူ၊
ရာဇ်ကြောင်း မိမိဖောင် ပုဂ္ဂနိုင်
မိမိဖောင်
နေ...
ပုဂ္ဂနိုင်၏ အမြတ်ဆုံးဖောင် ပုဂ္ဂနိုင်.

1996



აშ და მარადის

შენი ერთგული

ბელტი მიწა ვარ,

სადაც მე ჩემი ღმერთი მეგულების, —

იმ ცას გვიცავარ!

1989



მეზონე სიღური

შორიდან მოსულნი,
ათას ჭირ ნანახი,
რომ ვეზიაროთ “ღვთაებრივ სასმელს”,
მე და ზღვაოსანი ჩემი მემკვიდრენი,
უნდა მოვიძიოთ,
უნდა ვინახულოთ:
“მედვინე სიდური –
ქალი ზღვისკიდელი”.

1979



ჯერ კი შორსა ხარ,
როგორც მირაჟი,
მაგრამ სიმღერის
შუქით
მშვენდები...
კიდევ ცოტა და...
ლურჯ ფრთებს გაშლი, ვით გარიურაჟი,
და... გათენდები!

1964



გარდასულ ჟამთა ცის ბუნაგიდან
მწერი,
გითარცა ურჩხულს
შეჰვერის,
დღის ჩასაყლაპად პირს შავად აფხენს,
თოვლის ქათქათა ხარახოზე დგას
დეკემბერი
და ცის შავ კლდეებს
თეთრად ლესავს
ყინულს ქაფზით.

1979



ეგ არაფერი!

მოკვდავს კი არა,
ცას აწუხებს მნათობთა წყლული
ჩვენ განთიადი გვიმღერის “ლილეს”,
და მაინც მყუდროს
დავეძებთ ჯილეს,
რომ მოვასვენოთ დაღლილი სული.

1992



მოსული ქალი

ხელში უჭირავს პატარა ფუთა,
 ახურავს შალი დაძენბილი
 და აღარ უჩანს
 სახე ჩირივით მჯგნარი და მქრალი,
 ჩუმად მიმჯდარა კუთხეში
 ქუჩის,
 მტრედებს აპურებს მოხუცი ქალი.

1981



ობობა

ვწევარ და ვუმზერ:
კუთხეში ფანჯრის –
უდარდელ ფარფატს
პატია პეპლის,
იქვე ობობას (ქარი რომ ანჯლრევს),
ვითომც და მძინარს,
და გარინდულს
ლოდინში მსხვერპლის.

1989



როდესაც ელგა –

ღამის კარს შეაღებს,

სინათლით ივსება –

ცის ლურჯი დარბაზი

ნანემსარზე კი ჩნდებიან ბუჩქები,

ჩემი და ქარგავს

და ნარმაზე –

ია-იები იფურჩქნება.


1959



ფიქრშიც

რომ არ ძალმიძს დალატი,
ამიტომ მგონია შეგძულდი,
ოცნებით დალისთან ნაწოლი,
და...
თეთრად მორთული თეთნულდი,
მგონია,
მე,
ჩემი საცოლე.

1962



სასაფლაოზე ლამაზ პეპლებად,
 დაფარფატებენ მკვდართა
 სულები
 და ჩამქრალ ვარდებს კვლავ აყვავებენ,
 ხოლო ლოდებზე –
 ჯოჯოხეთის
 მოციქულები –
 სხედან ყვავები.

1964



გარდაუვალის –

გარდუვალობას,

ბევრი უმღერა და

უგალობა,

მერე გაუყვა მთვარის ხეივანს,

წასვლის წუთები ექცა ზეიმად,

ახლა საფლავში წევს

არხეინად

და არ აწუხებს აღარაფერი.

1959



გაჩენის დღიდან ფეხზე დამდგარი,
დამე ნათევი და უძილარი,
თავს კვლავ გვაწონებს

ცა —

მკერდფიქალი,
რომ გაკრთა ელგა,
ნეტავ ვინ არი?
ვისი სულია ცაში მიმქრალი!

1961



შეა მინდორზე მდგარი მუხა,
შავ ჩოხაში იწყობს ქილებს,
ქარმა უცებ,
კვამლი ბუხარს,
მოსტაცა და სოფლის გზაზე
უდარდელად —
მიქირქილებს...

1979



მომხდურთა სისხლად დის ალაზანი,
სივრცეებსა სძრავს მოთქმა –
მდინარის...
და წარსულიდან კვნესა მოისმის...
ნეტავ ვინ არი?!
ლელა?!
ონისე?!

1977



ლამაზი ძგებანა

- სიკვდილი?

იქ სიკვდილს რა უნდა!

დრო მიღის სულ თამაშ-
თამაშით...

ყველა და ყოველ მყუდრობს –
მზისა და მთოვარის ლამაზ ქვეყანაში,
სადაც ვარსკვლავები
ბუდრობენ.

1989




ცხოვრება –
ბრძოლაა...
ყოფნა-არყოფნა –
ორი ნაპირი ერთი მდინარის,
დასაბამიდან ყოფნას,
არყოფნა –
პყავს მტერი მარად დაუძინარი.

1991



მეგრულ ოდის აივანზე,
ბუდიდან თუ ფიალიდან,
ნაპერწკლები ქრთის
მაჭრული,
ტიტველ ბარტყთა: წივ-წივ, წივ-წივ!
და მერცხლების –
კრიმანჭული.

1965



ჯერ კი სადა ხარ!

უამრავი მოგიწევს ბრძოლა,
 რომ ყურს უგდებდე ზღვის მიმოქცევას
 და პლანეტების ქაოსურ სრბოლას,
 უდარდელ ღმერთებს რა ენადვლებათ,
 თუ ძე ადამის,

შავ სიკვდილზე ვერ ამაღლდება,
 შენ კი,
 შენა ხარ! –

შუამდგომი ზე და
 ქვესქნელის,
 ჩაწვდი ყოფნის აზრს...
 უპვდავებას გადაეფსკვენი.

1961

ოკეანეთა ღელვაში,
გხედავ კუპსა და ნობილებს,
ქარად ქრის მათი ნაკვნესი:
წვანან ქარების აკვნებში
ზღვები —
სულ
ღედიშობილა.

1982



მზის გრდემლზე ნაკვერ არყოფნის
ცელით,

სანამ ჩვენს დღეებს
ჩუმად გათიბავს
და ჩვენს ჭიშპართან იალებს,
მანამ ცის უსასრულობას
ლამე სვამს –
მთვარის ფიალით...

1961



მიწას მოშორებულმა,
ცის მდგიმეში ვიცხოვნე
და ღმერთივით –
გავთეთრდი,
ან ვინ შემიბრალებდა,
როცა დამეს ვათევდი –
შორეულ
გრიგალებთან...

1967



ბაგშავგერა

დასალიერში ერთი ღრუბელი
ელვის კრომაზე მოჰვავს ჯვარცმულ
იესო ქრისტეს,
რომელსაც ეპლის გვირგვინი შვენის,
ნიავს რომ მიაქვს ქართული ცისკენ
ის ბაბუაწვერა –
სული ჩემი.

1979



ცის იქით რომ ჩანს მირაჟად,
დრო-ჟამს ქედს რომ
აღარ უხრის,
მთა კი არა,
არის ვაჟა,
დრუბლის ნაბად შემოხვეულს,
უჩანს ნიხლის ახალუხი.

1964



ვარსკვლავებით დაწინწკლული –
ცა აცვია,
ვითარც ეცვა
ღმერთს და...
მკერდზე ამჩნევია –
მოვარის ნაიარევი,
სულ დია აქვს უფალს ზეცის
გარდისფერი კარები.

1958



სხვა არაფერი...

რწმენისთვის მხოლოდ,
უფლის მოსავი ბერი თუ მწირი,
უღმერთოებმა ხოცეს და ხოცეს...
(გამოუყვანა დრომ მცხეთას წირვა),
მაგრამ კედლები –
ამაღლდნენ ლოცვით.

1988



ხობი. ნოჭიხევი

დასაბამიდან ფაზისის და პონტოს
ნაპირას

ბუდობს კოლხეთი,

როგორც ხოხობი,

თქმულებების და ლეგენდების დაგრეხილ
რქებით,

უამს მიფატრავენ სამეგრელოს მთები –

ჯიხვები,

ცოტნეს ადგილი დედაა – ხობი,

დადიანთა ძვალშესალაგი –

ნოჭიხევი.

1964



დღეზე ფიქრებით,
უძილო დამის,
ოქროდ ნაჭედი გაიღო კარი
და დავინახე:
ახალგაზრდა გარსკვლავთა
შორის,
ვით მიწერწეტობს მოხუცი მთვარე.

1965



მოფრენილი შორეთიდან,
ხსოვნის ჩიტი –
ფიქრის ნარზე
დაბმულია ძაფით ბამბის,
და მე ვჩქარობ,
სტრიქონების თეთრ
ბაწარზე,
გამზეურებ ძირ-ძველ ამბებს.

1988



ნალეგა მთვარე

ვით ჩვენს წინაპრებს...
დღის შესახვედრად,
აღმოსავლეთით,
სადაც ცისკრის ყანებია,
მიჰყავთ დამქ,
მოჩარდახულ ვარსკვლავთა
ურმებს,
“ეფუთში” წავიკითხე: მთვარეს –
მზე ჰყვარებია,
და მისმა სიყვარულმა გალია თურმქ.

1962



მგოსნისათვის სიტყვა არის მახვილი,
ხოლო აზრი კი –
ფარ-მუზარადი,
(იგი არასდროს არ გამიქრება)
და...
ქართულ ცაზე აწ და მარადის,
იციმციმებენ ვარსკვლავებად –
ჩემი ფიქრები.

1967



უსასრულო ცის ქალაქში,
მყუდრო სავანე მოინიშნა
მზერამ,
შესწირავს თვალ-მარგალიტს –
აუწონელს,
და უკვდავების თითქოს და სჯერა,
მაგრამ რად გინდა,
ცისკრის გარსპელავს,
თვალს ვერ უწორებს.

1978



ვერ გაწყვეტ...
ხარ მიჯაჭვული,
პოეზიას,
კით პრომეთე,
მზის უროს სცემ დღეთა პალოს,
შიშის ქარი უდგათ დმერთებს,
ვა!
მათ მუსრი თუ გაავლო.

1988



ბერძენთა და რომაელთა
სიბრძნეს,
ცოდნას და კულტურას,
ფაზისს მომდგარს ოქროს ვერძად,
იორსა და მტკვარს
უკითხავ,
ვით წინაპრის ნაანდერძალს.

1979



ღამის შავი ეზოდან,
ბედისწერის ძაღლების
ღავდაგს აღარ ვუსმენდი,
გმაღლდებოდი უფალთან –
ლოცვის იარუსებით...

1971



ალექსა

შეჯარებულან ღელის პირ
ხეთა ჩრდილები ათობით
და წყალზე გააქვთ რიალი,
უკითელ ფოთლებით –
მნათობთა,
ცა –
ჭადარივით შრიალებს...

1965



დამეები ცის მინდორზე –
მნათობების ოქროს მარცვალს
პვლავ თესავენ...
და დღეები ძალას გრძნობენ უპირატეს,
მეხი ელგას ჯვარზე აკრავს
ქრისტესავით
და ხელს იბანს,
კით პილატე.

1965



ცაზე დაყრილი ღრუბლები,
თითქოს და ჩემი
ქართლის მთებია,
ან ქვაბულები დიდ შიო მღვიმის,
და მოწყენილს და
ოდნავ სევდიანს,
მთოვარე მოჰვავს –
შეყვარებულ ქალწულის
ღიმილს.

1986



ცისკრისას,
 მეტების ციხესთან,
 მტკვრის ჩუმი ოხვრა და
 კვნესის ხმა გაისმის...
 რაღა ქნას,
 ზოგჯერ თავს ახსენებს:
 ძველი ნაიარევი –
 კრწანისი.

1964



პეპლის ფრთის ქნევამ,
მოატყუა ბაბუაწვერა,
დასტოვა თავის ეზო და
კარი,
გვ,
ბედისწერავ, -
საით წავიდეს...
არა ჩანს ქარიც!

1964



როცა ვუმზერ კოლხეთის ცას –
 ლურჯ და მაღალ
 თაღებიანს,
 წარსულ დღეთა წყლული თითქოს
 მირჩებიან,
 და მე ვფიქრობ:
 ეს ტალღები,
 ზღვაშ რომ ფოთოან ამოყარა,
 იქნებ არგოს ნიჩბებია.

1958



ჩემი სიცოცხლის გაშლილ სუფრაზე,
წლების მაგიერ,
იმედების ყრია
ნამცეცი,
და მზის სარკიდან ვხედავ ფარულად:
ჩემი ბავშვობა,
აქეთ-იქით თვალებს აცეცებს,
მეზობლის ბადში მსხლის საკრეფად
გადაპარული.

1990



მე ვხედავ:

“ქართლის ცხოვრების”

ფურცლებზე,

სისხლის და ცრემლის დგას გუბეები,

სავსეა ჩემი ცის

ჩიჩახვი:

ხაზართა ელგარე შუბებით,

მწივანა ისრებით ყიგჩალთა.

1970



ო, რა ლამაზი ფერებია,
ათასწლეულებში
ნამწიფები,
და გარსკვლავები (წინაპართა)
ცაში დამარხული
ქვევრებია,
სავსე სინათლით და...
“რქაწიოთელით”!

1962



ხანდისხან ელვად რომ გამოკრთება,
 ელვა კი არა,
 გვიხმობს ციმციმით,
 უამთა უკუნში მდგარი დიდება,
 მხრები შეუდგეს
 დამის სიმძიმეს –
 ცალ ვარსკვლავების კარიადიტებმა.

1959



პახილი

- დარიბი დარჩი დარიბად,
მწევი საწუთოს ჭაპანთა –
წუხილითა და ოხვრითა,
- მიუხვალ მამა-პაპათა,
ძირგაცვეთილი ხამლით და
დაკერებული ჩოხითა.

1989



სადღაც ძერა ცის სიღრმეში,
ფრთებს კვლავ უსვამს
ნიჩბებივით...
და ნაპირთან ერთი ტალღა ისევ მრუშობს,
ქარი
კი ზღვას ნამტირალევ სველ თვალებზე,
ცრემლები რომ ამოუშროს,
თოლიების თეთრ ცხვირსახოცს ამოუსვამს.

1981



სანამ სუფეევს დღე და ღამე,
ნება არ გვაქვს ვიყოთ მშვიდი,
უგულო და დარდიმანდი,
რადგან ომი ისევ მიდის
ორმუზდის და არიმანის.

1989



სივრცეებს იქით...

სხვა პლანეტებზე,
მირიადი სხივით ნარწევი,
მარადისობის ისმის არია,
და მზერაც ვარსკვლავს აწყდება
და...
მიხარია!

1964



სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ	5
*** ქრისტიან სიშორის ლურჯი.....	25
დგას მთაწმინდა	26
*** წამით როცა გაიღება	27
9 აპრილი, 1989 წელი.....	28
*** რომ ვითვლით მძვინვარ	29
*** დასავლეთისკენ მიდიან.....	30
*** საფლავის ლოდებზე.....	31
*** კავკასიის მაღალ.....	32
*** რაა, ცხოვრება ღელვის.....	33
*** მოვლენ	34
*** ნაწვიმარი ცისკრის	35
უკანასკნელი დღე	36
*** იდუმალი გზით მოსული	37
მას ჩაუგარდა თვალში.....	38
თბილისი – 92	39
დავით IV, 1069 წელი	40
*** რდვევა იწყეს.....	41
*** ახლაც	42
*** საკინძეს ზოგჯერ	43

*** კვლავ ფეხშიშველი.....	44
*** სიხარული ისევ მიგაქვს.....	45
*** აღა.....	46
*** კივილადდამდგარ ქვის	47
ტყაში მაფა	48
*** დუმს გილიოტინა და.....	49
ახუთში.....	50
მთა პელიკონის	51
ხილვა – წარსული.....	52
*** ისმის რქების ჯახანი.....	53
*** ციდან ღმერთად	54
*** ზამთრის დღეებს.....	55
*** ავის მდომი და მოსურნე.....	56
*** მოუშვია მოქათქათე.....	57
*** წარსულიდან წყენით	58
*** მზე ჩასულია ზღვაში	59
ხმა	60
*** ღამეულ ბილიკით	61
*** საქართველოს საზიანოდ	62
*** მზე მთათა მიღმა უცებ.....	63
*** ბეგრჯერ რბეული	64
*** მიწას ეგსება თვალები	65
*** წელზე ჰკიდიათ	66

*** ათასწლეულები პეიდიათ.....	67
რქაწითელი.....	68
*** ციდან მოწყვეტა.....	69
სამხრეთ საქართველო.....	70
*** სადღაც იდება	71
*** როდესაც სუფრასთან.....	72
*** უამს მიმწუხერისას.....	73
*** ქართული სიტყვის	74
*** ადიდებული	75
ნოსტეს და ხოვლეს	76
ბებია	77
*** ჩამჯდარს ცის ლურჯ	78
*** აღარ ასვენებს ადამის.....	79
*** თვლემდა ვარსკვლავთა	80
*** სანაპიროზე პატარა	81
ეს მთები	82
*** ღამის უღრან	83
*** შეხელა.....	84
*** წარსულ დღეთა	85
*** მწუხერით დახურულ ამ	86
ევრიპიდეს მედეა.....	87
*** იქით დღე იდგა.....	88
*** სანაპიროზე ისმის	89

*** უზარმაზარ ცის	90
*** ვიყავი კლდე პიტალო	91
*** ათას წლის მერე	92
ქარიშხალი ზღვაზე	93
*** პოეზიის კლდეს	94
*** გამთენიისას	95
*** ქართველ დედების	96
*** დავიწყებისკენ მიერეკება	97
ახსოვს რიონს	98
კეიისარს კეიისარისა	99
*** წამოიშალნენ ჩემი	100
*** როდესაც ქარმა ხელი	101
*** თავი მიანდეს ქარს	102
*** არ გვეშინია ქვეყნად	103
*** სიშორითა და სიცივით	104
*** გველა ურჯულო	105
*** გვლესიის ზარები	106
*** ზღვას ციოდა და	107
ბალთაზარი	108
*** რა სიმრავლეა ცაში	109
*** დვთის ჩრდილში მდგარ	110
*** ქათქათა თოვლის	111
ფუთულა	112

*** სხვათაგან მარად	113
*** დაბადებიდან მის.....	114
*** არ მოედოს მნათთა.....	115
*** დღეები დედაბერივით	116
*** სული მწუხრით ნატკენი	117
*** ყოვლისმნილველი	118
*** ცად დვიოდა.....	119
გჲა, მამულო.....	120
*** ცურსავსე მდინარეები.....	121
*** ვითარც უვლია.....	122
*** სიყვარულის თეორ	123
ვაჟას ანდერძი	124
*** საომარი ეტლით მეხი.....	125
დამეებიც და დღეებიც	126
*** ოქროსფერი შემოდგომის	127
*** დღეების აფრებით	128
*** ვარსკვლავების ოქროს	129
აქ, მეტეხთან	130
*** დუმილის ფოთლები.....	131
*** დუღს და გგარგვალებს	132
*** ზვავთა სტუმრობა	133
*** ისევ გაცემა	134
*** ცეცხლს ცრიდა ცა	135

*** ამაღლებას	136
*** დამის ბუნაგში სხედან.....	137
ქუზიანი	138
*** დამქს სურს ცივი.....	139
*** ჯოხით ხელში.....	140
*** ავმა დრომ ფრთები	141
*** მიდამო მერცხლების	142
*** მიმწუხრამდე მზე.....	143
*** აქ არაფერი შეცვლილა.....	144
*** რუსთაველზე მიმიწევს	145
*** სახეშეფაკლულ	146
*** ვიღაც მოვიდა ამ.....	147
*** გამთენისას.....	148
*** ვითარც ჰერმესს.....	149
*** გადამფრენი ჩიტებივით	150
*** ო, ჭეშმარიტად	151
*** მცხედარს კი არა.....	152
*** მზისგან ოდნავ.....	153
ხმა წიწამურთან	154
*** შორიდან მწუხრით	155
*** სიცოცხლის და	156
*** შავით მოსილი	157
არ ასრულდება.....	158

*** ჩვენ რომ ვხედავთ.....	159
*** ცისა და მიწის	160
*** თვალს ვერ ვუსწორებ	161
პვეტარა.....	162
*** ჩაესმის მიწის უხმო.....	163
არტაგი	164
*** როცა ზღვა დელავს	165
ატილას ლანდი	166
*** შორს	167
*** თენდება	168
*** დავიწყების შავ.....	169
მერცხალი – წყლის ფერია.....	170
*** ზღვისებრ ბობოქარ	171
შური	172
*** დღეს დაქანცულს და	173
ცოტნე	174
*** იყვნენ და ადარ არიან	175
*** ღმერთმა რაც ჩემთვის	176
*** მწყხარებას რომ.....	177
ლტოლვილი	178
*** ქუხს მეოორმეტე	179
*** მიატოვეს ზღვის.....	180
*** ზაფხულიც და.....	181

*** ერთჯერ გაჩენა.....	182
*** ძველი ოლაპე.....	183
*** ღელვა დუნიას.....	184
*** სადღაც.....	185
*** უეცრად საავდრო	186
*** ვერ ძლებდნენ თურმე	187
*** თუ ასე გაგრძელდა.....	188
*** ცის სიახლოვეს დუმან.....	189
*** ნათლით შემოსილს.....	190
*** უეცრად გაავდრდა.....	191
*** დგას გაზაფხული და	192
*** მოგელის “სიკვდილი.....	193
*** ერთგულად სდევ იმ.....	194
*** წუთები სადღაც	195
დაბრუნება.....	196
*** აწ და მარადის.....	197
მეღვინე სიდური	198
*** ჯერ კი შორსა ხარ	199
*** გარდასულ ჟამთა ცის	200
*** ეგ არაფერი!	201
მოხუცი ქალი.....	202
ობობა.....	203
*** როდესაც ელვა	204

*** ფიქრშიც.....	205
*** სასაფლაოზე ლამაზ	206
*** გარდაუგალის.....	207
*** გაჩენის დღიდან გეხზე	208
*** შუა მინდორზე მდგარი.....	209
*** მომხდურთა სისხლად	210
ლამაზი ქვეყანა.....	211
*** ცხოვრება.....	212
*** მეგრულ ოდის აიგანზე	213
*** ჯერ კი სადა ხარ!.....	214
*** ოკეანეთა ღელვაში.....	215
*** მზის გრდემლზე	216
*** მიწას მოშორებულმა.....	217
ბაბუაწვერა	218
*** ცის იქით რომ ჩანს.....	219
*** ვარსკვლავებით.....	220
*** სხვა არაფერი	221
ხობი, ნოჯიხევი	222
*** დღეზე ფიქრებით	223
*** მოფრენილი შორეთიდან	224
ნალეგა მთვარე.....	225
*** მგოსნისათვის სიტყვა.....	226
*** უსასრულო ცის ქალაქში.....	227

*** ვერ გაწყვეტ	228
*** ბერძენთა და რომაელთა.....	229
*** ლამის შავი ეზოდან	230
*** შეჯარებულან დელის პირ	231
*** ლამეები ცის მინდორზე	232
*** ცაზე დაყრილი ღრუბლები.....	233
*** ცისკრისას.....	234
*** პეპლის ფრთის ქნევამ	235
*** როცა ვუმზერ კოლხეთის	236
*** ჩემი სიცოცხლის გაშლილ	237
*** მე ვხედავ.....	238
*** ო, რა ლამაზი ფერებია	239
*** ხანდისხან ელვად რომ.....	240
ძახილი	241
*** სადღაც ძერა ცის.....	242
*** სანამ სუფევს დღე და	243
*** სივრცეებს იქით	244

ვაჟა ებრისელი

გოლჩური ფსალმუნები

100 ფორად
ფორმი 39

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 39

- | | |
|---------------------|--------------------------|
| გამომცემლობის | |
| რედაქტორი | – 0ზა ხარებავა |
| მხატვარი | – სპართად ცინცაძე |
| მხატვრული რედაქტორი | – 0რაპლი უშვერიძე |
| ტექნიკური რედაქტორი | – ნანა ღუმბაძე |
| კორექტორი | – ლალი ხომერიძი |
| კომპიუტერული | |
| უზრუნველყოფა | – ნანა ღა ღათო ჭავჭავაძე |

გამომცემელი – ზურაბ ღოლგაია

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020



გამომცემლობა „უნივერსალი”

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოსიანის №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com